

ურთიერთგაგების მემორანდუმი
საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი
დილერების საპილოტე პროგრამა

2023 წლის 4 ოქტომბერი

ვინაიდან:

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა;
- საქართველო, წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ (შემდგომში ფინანსთა სამინისტრო), საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში ეროვნული ბანკი) მხარდაჭერით, გეგმავს პირველადი დილერების სისტემის დანერგვას გამოშვების ხარჯების შემცირების, სანდო შემოსავლიანობის მრუდის ჩამოყალიბების და ბაზარზე ინვესტორების მოზიდვის მიზნით. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს ფინანსური ბაზრის განვითარებას, წახალისებს დანაზოგების ზრდას და საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკს გამოიყენოს მონეტარული პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენტები;
- პირველად დილერებს ექნებათ შუამავლის როლი ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა და ინვესტორებს შორის, იზრუნებენ ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციაზე და მეორად ბაზარს გახდიან მეტად ლიკვიდურს ფასების რეგულარული განახლებით, შესაბამისი სავაჭრო და საანგარიშსწორებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით;
- პირველადი დილერების სრული სისტემის დანერგვამდე უმჯობესია პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის დაწყება, გამარტივებული მოვალეობების და პრივილეგიების შემოღებით, სისტემის უპირატესობების და ნაკლოვანებების განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული ფინანსურ შუამავლებს მისცემს საშუალებას ეტაპობრივად განავითარონ ბაზრის შექმნის უნარები და საშუალებები და განვითარების საწყის ეტაპზე შეამცირონ მოსალოდნელი ფინანსური რისკები;
- პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის ეფექტური დანერგვისთვის აუცილებელია მონაწილე მხარეების ძირითადი მოვალეობებისა და პრივილეგიების დეტალური აღწერა.

ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. განმარტებები

ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში მემორანდუმი) გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. **გამოსყიდვის ოპერაცია** - გარიგება, რომლითაც ფინანსთა სამინისტრო გამოისყიდის კონკრეტული სახის ფასიან ქაღალდებს მეორად ბაზარზე, აუქციონის ან ორმხრივი გარიგების გზით;
- 1.2. **შერჩეული სახაზინო ობლიგაცია (ბენჩმარკ ბონდი)** - მოიცავს, (i) 2020 წლის 1 ნოემბრის შემდგომ გამოშვებულ 5 წლიან სახაზინო ობლიგაციებს; (ii) 2022 წლის 1 ნოემბრიდან, ამ თარიღისთვის „აქტიურ“ 2 წლიან სახაზინო ობლიგაციებს და მის შემდგომ გამოშვებულ ნებისმიერ ახალ 2 წლიან სახაზინო ობლიგაციებს; (iii) 2023 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის იანვარში გამოშვებულ 10 წლიან სახაზინო ობლიგაციებს; და (iv) დამატებით შერჩეულ

- სახაზინო ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეარჩევს პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციის საფუძველზე;
- 1.3. **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები** - "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ეროვნული ვალუტით დენომინირებული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;
- 1.4. **არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაცია** - ნებისმიერი შერჩეული სახაზინო ობლიგაცია, რომელიც არ არის „აქტიური“;
- 1.5. **პირველადი დილერი** - მემორანდუმის პირობების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს პირველად დილერად დანიშნული ფინანსური ინსტიტუტი;
- 1.6. **პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა** - პირველადი დილერების სისტემის საწყისი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს მონაწილე მხარეთა გამარტივებული მოვალეობები და პრივილეგიები და ვრცელდება სახელმწიფო ფასიან ქაღალდების ნაწილზე - შერჩეულ სახაზინო ობლიგაციებზე;
- 1.7. **პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფი** - ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და პირველადი დილერებისგან ფორმირებული ჯგუფი, როგორც ეს აღწერილია მე -12 მუხლში;
- 1.8. **პირველადი ბაზარი** - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი – ბაზარი, რომელზეც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა მათი გამოშვებისას;
- 1.9. **დაკავშირებული პირი** - პირველად დილერთან, მის კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან დაკავშირებული პირი (სუბიექტი), თუ სრულდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:
- ა. სუბიექტი და პირველადი დილერი ერთი და იგივე ჯგუფის წევრები არიან (მშობელი, შვილობილი ან მშობელი საწარმოს შვილობილი არის დაკავშირებული დანარჩენებთან);
 - ბ. სუბიექტსა და პირველად დილერს შორის ერთ-ერთი არის მეორეს ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ერთ-ერთი მათგანი არის იმ ჯგუფის წევრის ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიცაა მეორე საწარმო)
 - გ. სუბიექტი და პირველადი დილერი არიან მესამე პირის ერთობლივი საწარმოები;
 - დ. სუბიექტსა და პირველად დილერს შორის ერთ-ერთი არის მესამე პირის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე მათგანი არის აღნიშნული მესამე პირის ასოცირებული საწარმო;
 - ე. სუბიექტი წარმოადგენს პირველადი დილერის ან პირველად დილერთან დაკავშირებული საწარმოს თანამშრომელთა დასაქმების შემდგომი პერიოდის სარგებლის სქემას;
 - ვ. სუბიექტი სრულად ან ნაწილობრივ კონტროლდება პირის, მისი ოჯახის წევრისა ან სხვა გზით დაკავშირებული პირების მიერ, თუ ამ პირს:
 - ვ.ა. აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი პირველად დილერზე;
 - ვ.ბ. აქვს მნიშვნელოვანი გავლენა პირველად დილერზე;
 - ვ.გ. არის პირველადი დილერის ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის წევრი;

- ზ. ამ მუხლის (ვ.ა.) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სუბიექტზე ან აღნიშნული პირი არის სუბიექტის (ან მშობლის) უმაღლესი მენეჯმენტის წევრი;
- თ. სუბიექტი, ან იმ ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომელსაც სუბიექტი მიეკუთვნება, უწევს პირველად დილერს ან მის მშობელ სუბიექტს უმაღლესი მენეჯმენტის პერსონალით მომსახურებას.
- 1.10. **მეორადი ბაზარი** - გულისხმობს შერჩეული სახაზინო ობლიგაციითა და არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციით ვაჭრობას პირველად დილერებს შორის, პირველად დილერებსა და ინვესტორებს შორის, ფინანსთა სამინისტროსა და პირველად დილერებს ან ინვესტორებს შორის, აგრეთვე ეროვნულ ბანკსა და პირველად დილერებს შორის, როგორც ეს აღწერილია მემორანდუმში.

2. მონაწილე მხარეები

მემორანდუმის მონაწილე მხარეები არიან საქართველო წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ, ეროვნული ბანკი და პირველადი დილერები.

3. ურთიერთგაგების მემორანდუმის სამართლებრივი ბუნება

- 3.1. ეს მემორანდუმი არის განზრახვის განაცხადი და მონაწილე მხარეებს არ უქმნის რაიმე იურიდიულ ვალდებულებას. იგი ადგენს მხარეებს შორის ბაზრის შექმნის შესახებ შეთანხმებას და არ უნდა შელახოს ცალკეულ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან შეთანხმება, ნებისმიერი სხვა იურიდიული ვალდებულება და მოქმედი კანონმდებლობა.
- 3.2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივ ბრძანებაში „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ გაწერილი წესები ვრცელდება შერჩეულ სახაზინო ობლიგაციაზე და არააქტიურ შერჩეულ სახაზინო ობლიგაციაზე.
- 3.3. მოვალეობებისა და პრივილეგიების ჩამონათვალი არ არის საბოლოო. შეიძლება დაემატოს პირველადი დილერების ახალი მოვალეობები და პრივილეგიები, ან არსებული მოვალეობები და პრივილეგიები გადაიხედოს ამ მემორანდუმის 15.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
- 3.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით და კონსულტაციების გზით მოაგვარებენ ყველა დავას და უთანხმოებას, რომელიც წარმოიქმნება ან დაკავშირებული იქნება ამ მემორანდუმთან.

4. მიზანი, მოქმედების სფერო და მოქმედების ვადა

- 4.1. ამ მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის ეფექტურ განხორციელებას, მხარეთა მოვალეობებისა და პრივილეგიების განსაზღვრის გზით.
- 4.2. როგორც პირველი ნაბიჯი პირველადი დილერების სრული სისტემისკენ, მხარეები თანხმდებიან, რომ იღებენ მონაწილეობას პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში, ამ მემორანდუმის პირობების შესაბამისად.
- 4.3. პირველადი დილერების ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შევა 2022 წლის 1 ნოემბრიდან და გაგრძელდება მანამ, სანამ სხვაგვარად არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული მონაწილე მხარეების მიერ. აღნიშნული მემორანდუმი ანაცვლებს 2020 წლის ნოემბრის ურთიერთგაგების მემორანდუმს.
- 4.4. სულ მცირე წელიწადში 2-ჯერ მხარეები პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფში განიხილავენ პროგრესს, რის შედეგადაც შეიძლება გადაწყვიტონ საპილოტე პროგრამის გახანგრძლივება, გააფართოვონ მისი ფარგლები შერჩეული სახაზინო ობლიგაციების დამატებით, გადავიდნენ პირველადი დილერების საპილოტე პროგრამიდან პირველადი დილერების სრულ სისტემაზე ან მთლიანად შეწყვიტონ მემორანდუმი.
- 4.5. პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში მონაწილე ყოველი პირველადი დილერი ავტომატურად გახდება სრული სისტემის პირველადი დილერი, თუ მიიღება პირველადი დილერების სრულ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა თუ: მისი პირველადი დილერობის სტატუსი შეჩერებული ან შეწყვეტილია; მან არ შეასრულა მემორანდუმით ნაკისრი მოვალეობები, მიიღო წერილობითი შეტყობინება შეუსრულებლობის შესახებ და სამ თვეში არ გამოასწორა მდგომარეობა, ან წერილობითი განცხადებით განზრახ გადაწყვეტს, რომ არ გახდეს პირველადი დილერი.

5. პირველადი დილერების შერჩევა და დანიშვნა

- 5.1. პირველადი დილერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - 5.1.1. უნდა იყოს ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ლიცენზირებულია ამ დოკუმენტში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით და იმ იურისდიქციის კანონებით, რომელშიც არის დაფუძნებული;
 - 5.1.2. უნდა ჰქონდეს, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის შეფასებით, მაღალი დონის მენეჯმენტი, გამოცდილება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფლობაში, ვაჭრობაში, ანგარიშსწორებასა და აღრიცხვაში, ასევე, ჰქონდეს გარიგების ქმედუნარიანობა, სავალო ფასიანი ქაღალდების საბითუმო და საცალო განაწილების არხი, აგრეთვე, საიმედო სტრატეგია ორიენტირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასა და ინვესტორთა ბაზის გაფართოებაზე;
 - 5.1.3. საქართველოში დაფუძნებული და ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი უნდა იყოს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის (GSSS) პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილე სულ მცირე 6 თვის განმავლობაში 5.2

მუხლში მითითებული განაცხადის გაკეთების დროს, ასევე, აკმაყოფილებდეს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს. უცხოური ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში, რომელიც ლიცენზირებულია უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოს მიერ და ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს საინვესტიციო მომსახურების მიწოდებას, ეროვნული ბანკის შეფასებით, უნდა მტკიცდებოდეს, რომ მას აქვს შესაძლებლობა და განხორციელებული აქვს აუცილებელი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება;

- 5.1.4. უნდა ჰქონდეს ბლუმბერგის (Bloomberg) სულ მცირე ორი ტერმინალი, ერთი საკუთარი და ერთიც კლიენტების ოპერაციებისთვის და ფლობდეს ყველა საჭირო ადამიანურ და ტექნიკურ რესურსს, რომელიც აუცილებელია პირველადი დილერის საქმიანობის განსახორციელებლად;
- 5.1.5. უნდა აკმაყოფილებდეს 5 მილიონი ლარის მოცულობის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას.
- 5.2. ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც აკმაყოფილებს 5.1 მუხლში მოცემულ კრიტერიუმებს, პირველად დილერად დანიშვნის განაცხადს (დანართი 1) წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს, ხოლო ასლს ეროვნულ ბანკს.
- 5.3. ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი აფასებენ განმცხადებლის შესაბამისობას 5.1 მუხლში განსაზღვრულ შერჩევის კრიტერიუმებთან.
- 5.4. ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა მოითხოვონ განცხადების წარმდგენი ფინანსური ინსტიტუტისგან დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდება, რათა დადასტურდეს, რომ ის აკმაყოფილებს 5.1 მუხლში განსაზღვრულ კრიტერიუმებს.
- 5.5. განმცხადებელი ფინანსური ინსტიტუტი უფლებას აძლევს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს, აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროს ან ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ნებისმიერ ორგანოს, ადგილზე შეამოწმონ სათანადო დოკუმენტაცია და 5.1 მუხლში განსაზღვრულ ოპერაციულ და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- 5.6. პირველადი დილერების შერჩევა ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ სრული განაცხადის მიღებიდან ოთხი კვირის ვადაში, ეროვნულ ბანკთან კონსულტაციისა და განმცხადებლის 5.1 მუხლში განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მისგან თანხმობის მიღების შემდეგ.
- 5.7. თუ იმაზე მეტი ფინანსური ინსტიტუტი გააკეთებს განაცხადს, ვიდრე მიჩნეულია ოპტიმალურ მაქსიმუმ რაოდენობად ბაზრის ფუნქციონირების თვალსაზრისით, ფინანსთა სამინისტრომ შეიძლება მოსთხოვოს განმცხადებლებს წარმოადგინონ ბიზნეს გეგმა, თუ როგორ აპირებენ წვლილი შეიტანონ ბაზრის განვითარებასა და გაღრმავებაში, ხოლო ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩევს იმ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ შერჩევის კრიტერიუმებს და წარმოაჩენენ საუკეთესო ბიზნეს გეგმას ბაზრის განვითარების მიზნების მიღწევისთვის.
- 5.8. განმცხადებელ ფინანსურ ინსტიტუტს დროულად ეცნობება ფინანსთა სამინისტროსგან პირველად დილერად დანიშვნის ან მის კანდიდატურაზე უარის თქმის შესახებ.

- 5.9. ფინანსურმა ინსტიტუტმა, რომლის განაცხადსაც უარი ეთქვა, შეიძლება მოითხოვოს ფინანსთა სამინისტრომ განუმარტოს შერჩევის კრიტერიუმი, რომელსაც ის ვერ აკმაყოფილებს და იმ შემთხვევაში, თუ თვლის, რომ უკვე აღმოფხვრა მანამდე არსებული ნაკლოვანებები, შეუძლია წარადგინოს ახალი განაცხადი არა უადრეს უარის თქმის შესახებ შეტყობინებიდან 3 თვისა.
- 5.10. ფინანსთა სამინისტროსგან დანიშვნის დადასტურების მიღების შემდეგ, განმცხადებელმა ხელი უნდა მოაწეროს მემორანდუმს, რათა მიენიჭოს პირველად დილერად მოქმედების უფლებამოსილება.
- 5.11. ფინანსთა სამინისტრომ შესაძლოა დროდადრო სისტემაში დაუშვას ახალი პირველადი დილერები სამთვიანი საცდელი პერიოდის შემდეგ. საცდელი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელ პირველად დილერს ექნება იგივე მოვალეობები და პრივილეგიები, რაც არსებულ პირველად დილერებს, გარდა პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფში ხმის მიცემის უფლებისა.
- 5.12. პირველად დილერს შეუძლია გადასცეს პირველადი დილერის სტატუსი მასთან დაკავშირებულ მხარეს, რაც ექვემდებარება დაკავშირებული მხარის 5.1 მუხლში განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენას და ფინანსთა სამინისტროსგან დადასტურებას. უფლების მიმღები დადასტურების შემდეგ არ იქნება მიჩნეული, როგორც ახალი პირველადი დილერი.
- 5.13. თუ პირველადი დილერი სხვა პირს გადასცემს თავისი აქტივების მთელ ან არსებითად დიდ მოცულობას, შერწყმის ან რაიმე სხვა მსგავსი პროცედურის შედეგად, პირმა, რომელსაც გადაეცა პირველადი დილერის აქტივები შეიძლება მოიპოვოს პირველადი დილერის სტატუსი მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან დადასტურების შემთხვევაში.

6. პირველადი დილერების რეგულარული მიმოხილვა და შეფასება

- 6.1. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნულ ბანკთან კონსულტაციით, მიმოიხილავს პირველადი დილერების საქმიანობის ეფექტიანობას და მათ შესაბამისობას მე-10 მუხლში განსაზღვრულ ვალდებულებებთან. მიმოხილვა განხორციელდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ (ან საპილოტე პროგრამის დასრულების შემდეგ), პირველადი დილერების მიერ მოწოდებული, მე-14 მუხლით განსაზღვრული, ინფორმაციის საფუძველზე.
- 6.2. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკთან კონსულტაციით, მოახდენს პირველადი დილერების შეფასებას და რანჟირებას.
- 6.3. ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი ერთობლივად განიხილავენ შეფასების შედეგებს პირველად დილერებთან ინდივიდუალურად, რათა მოხდეს გასაუმჯობესებელ საკითხთა იდენტიფიცირება და ბაზრის განვითარების საერთო მიზნის მიღწევისკენ მიმართული აქტივობების განსაზღვრა.
- 6.4. ყოველკვარტალურად, ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი გააკეთებენ პირველადი დილერების საქმიანობის შუალედურ მიმოხილვას და განიხილავენ შუალედურ შედეგებს იმ პირველად დილერთან, რომლის საქმიანობის ეფექტიანობა

დამაკმაყოფილებელ დონეზე ნაკლებია, რათა დროულად დაადგინონ მიზეზები და მდგომარეობის გამოსწორების შესაძლო საშუალებები.

- 6.5. პირველადი დილერები ექვემდებარებიან უწყვეტი მონიტორინგის პროცესს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ ამ მემორანდუმით ნაკისრი მოვალეობების შესრულება.

7. პირველადი დილერობის შეწყვეტა და დილერის სტატუსზე უარის თქმა

- 7.1. საპილოტე პროგრამის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტრომ პირველად დილერს სტატუსი შეიძლება ჩამოართვას თაღლითობის, უხეში გაუფრთხილებლობის, ან ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების უუნარობის შემთხვევებში.
- 7.2. თუ საპილოტე პროგრამა საწყის ექვს თვეზე მეტხანს გაგრძელდა, ფინანსთა სამინისტროს შეუძლია პირველადი დილერის სტატუსის შეწყვეტა წერილის გაგზავნით, იმ შემთხვევაში, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:
- 7.2.1. ფინანსთა სამინისტრო, ნებისმიერ დროს, ან მე-6 მუხლში განსაზღვრული რეგულარული მიმოხილვისა და შეფასების პროცედურის შემდეგ, ადგენს, რომ პირველადი დილერი არ ასრულებს მემორანდუმში გაწერილ მოვალეობებს ან აღარ აკმაყოფილებს 5.1 მუხლში განსაზღვრულ შერჩევის კრიტერიუმებს (მთლიანად ან ნაწილობრივ);
- 7.2.2. ფინანსთა სამინისტროს მხრიდან მოხდა 3 თვიანი წერილობითი გაფრთხილების მიწოდება ცალკეული პირველადი დილერისადმი, მოვალეობების შესრულების მოთხოვნით. ამგვარი გაფრთხილება ნათლად უნდა აღწერდეს კონკრეტულ მოვალეობებს, რომლებიც არ შესრულდა პირველადი დილერის მიერ ან/და შერჩევის კრიტერიუმებს, რომელსაც აღარ აკმაყოფილებს პირველადი დილერი;
- 7.2.3. გაფრთხილების მიღების მიუხედავად, სამთვიანი პერიოდის შემდეგ, პირველადი დილერი აგრძელებს ნაკისრი მოვალეობების დარღვევას, ან ვერ აკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს.
- 7.3. პირველადი დილერის სტატუსის შეწყვეტა ავტომატურად მოხდება, თუ მისი ლიცენზია გაუქმდება, ან მის მიმართ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან სხვა მსგავსი პროცედურა, გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ან მან დაარღვია მარეგულირებელი მოთხოვნები. ფინანსთა სამინისტრომ, შესაბამისი საფუძვლების მითითებით, პირველად დილერს უნდა გაუგზავნოს სტატუსის შეწყვეტის წერილი.
- 7.4. თუ საპილოტე პროგრამა საწყის 6 თვეზე მეტხანს გაგრძელდა, პირველად დილერს შეუძლია გააკეთოს განაცხადი სტატუსზე უარის თქმის შესახებ ფინანსთა სამინისტროსადმი 2 თვიანი წინასწარი წერილობითი ცნობის წარდგენით.
- 7.5. პირველადი დილერობის სტატუსის შეწყვეტით ან სტატუსზე უარის თქმით ხდება პირველად დილერად დანიშვნის უფლების დაკარგვა მომდევნო თორმეტი თვის მანძილზე, ან პირველად დილერად დანიშვნის უფლების დაკარგვა იმ შემთხვევაში, თუ საპილოტე პროგრამა გარდაიქმნება პირველადი დილერების სრულ სისტემად.

8. შერჩეული სახაზინო ობლიგაციები

- 8.1. ამ მემორანდუმის თანახმად, შერჩეული ბენჩმარკ ობლიგაცია იქნება 2020 წლის 1 ნოემბრის შემდგომ გამოშვებული 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციები, 2022 წლის 1 ნოემბრიდან, ამ თარიღისთვის „აქტიური“ 2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები და მის შემდგომ გამოშვებული ნებისმიერი ახალი 2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები, და 2023 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის იანვარში გამოშვებული 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციები.
- 8.2. დროთა განმავლობაში, პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფმა შერჩეულ სახაზინო ობლიგაციად შეიძლება განსაზღვროს უფრო მოკლე ან უფრო გრძელი ვადიანობის სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

9. ფინანსთა სამინისტროს მოვალეობები

ფინანსთა სამინისტროს მოვალეობებია:

- 9.1. ჰქონდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გეგმა, რომელიც პირველადი და მეორადი ბაზრის მონაწილეებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ საკუთარი საინვესტიციო პოლიტიკა საშუალოვადიანი პერიოდისათვის.
- 9.2. უზრუნველყოს ბაზრისთვის მიმზიდველი მახასიათებლების მქონე საკმარისი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არსებობა.
- 9.3. რეგულარულად ითანამშრომლოს პირველადი დილერებთან და მიაწოდოს ინფორმაცია მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის, ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი გამოშვების გეგმის და შერჩეული სახაზინო ობლიგაციების მახასიათებლების ცვლილების შესახებ.
- 9.4. ორგანიზება გაუწიოს შერჩეული სახაზინო ობლიგაციების აუქციონებს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით.
- 9.5. საწყის ეტაპზე შერჩეული სახაზინო ობლიგაციის მიზნობრივ მოცულობად განსაზღვროს არანაკლებ 500 მილიონი ლარი. სხვა ვადიანობის შერჩეულ სახაზინო ობლიგაციად დამატების შემთხვევაში წინასწარ განსაზღვროს მათი მინიმალური მიზნობრივი მოცულობა.
- 9.6. უზრუნველყოს პირველადი დილერების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა.
- 9.7. უზრუნველყოს პირველადი დილერების უწყვეტი მონიტორინგი და მათი მიუკერძოებელი შეფასება.
- 9.8. უზრუნველყოს პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის რეგულარული და პირველადი დილერებთან ორმხრივი გეგმიური და არაგეგმიური შეხვედრების ორგანიზება.

10. პირველადი დილერების მოვალეობები

პირველადი დილერს აქვს შემდეგი მოვალეობები:

- 10.1. საკუთარი ან/და კლიენტის სახელით რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა შერჩეული სახაზინო ობლიგაციის გამოშვების აუქციონებში.
- 10.2. კლიენტის დავალებით გააკეთოს განაცხადი აუქციონზე; აღნიშნული მომსახურების ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს კლიენტის განაცხადის ნომინალური ღირებულების 0.2%-ს.
- 10.3. საკუთარი ან/და კლიენტის ანგარიშისათვის, შეისყიდოს პირველად ბაზარზე გამოშვებული შერჩეული სახაზინო ობლიგაციების მოცულობის მინიმუმ 2%, 6 თვის განმავლობაში.
- 10.4. რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა შერჩეული და არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციების მეორად ბაზარზე, იმოქმედოს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, უზრუნველყოს შერჩეული სახაზინო ობლიგაციების ბაზრის ლიკვიდურობა და სავაჭრო პირობების რეგულარულობა.
- 10.5. სამუშაო დღის განმავლობაში, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მზად იყოს გამოაქვეყნოს შერჩეული და არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციის ყიდვა-გაყიდვის ფასი.
- 10.6. ხელი შეუწყოს შერჩეული და არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციების მეორადი ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას და ლიკვიდურობას ყიდვა-გაყიდვის ფასების გამოქვეყნებით 10.6.1, 10.6.2, 10.6.3 ქვეპუნქტების შესაბამისად:
 - 10.6.1. ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაზე გამოაქვეყნოს შერჩეული და არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის ფასი სავაჭრო სესიის დროს - 15:00 სთ-დან 16:30 სთ-მდე;
 - 10.6.2. შერჩეული სახაზინო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის გამოქვეყნებულ ფასს შორის არსებული სპრედი უნდა იყოს მაქსიმუმ 75 საბაზისო პუნქტი;
 - 10.6.3. არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის გამოქვეყნებულ ფასს შორის არსებული სპრედი უნდა იყოს მაქსიმუმ 100 საბაზისო პუნქტი.
- 10.7. გამოქვეყნებულ ფასად ავტომატურად დააკმაყოფილოს სხვა პირველადი დილერის, ეროვნული ბანკის ან/და ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმის სხვა მომხმარებლის მოთხოვნა ფასიანი ქაღალდის ყიდვის/გაყიდვის შესახებ, თუ აღნიშნული მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს, იმ პირობით, რომ ამ მომხმარებელზე ბანკს აქვს დამტკიცებული საკმარისი სავაჭრო ლიმიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველად დილერს შეუძლია შესთავაზოს გამოქვეყნებული ფასისაგან განსხვავებული ფასი.
- 10.8. მზად იყოს ფასების შესთავაზებლად და ტრანზაქციების განსახორციელებლად იმ ინდივიდუალურ და საბითუმო კლიენტებთან, რომლებიც არ არიან ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმის მომხმარებლები.
- 10.9. 10.8 მუხლის მიზნებისათვის შეთავაზებულ ფასებს შორის არსებული სპრედი, 10.7 მუხლში განსაზღვრული წესის ფარგლებში, მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს 10.6 მუხლში განსაზღვრული სპრედებისგან.
- 10.10. უზრუნველყოს სათანადო რაოდენობის ადამიანური და სხვა სახის რესურსი საქმიანობის მაღალი ხარისხით შესასრულებლად.

- 10.11. შერჩეული სახაზინო ობლიგაციებით და სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, ინვესტორების დაინტერესების მიზნით, აქტიურად ჩაერთოს ბაზრის განვითარების ხელშეწყობ ღონისძიებებში (როდუშოუები, ინვესტორებთან შეხვედრები, საქმიანი კავშირების დამყარება და ა.შ). აღნიშნული ღონისძიებები შესაძლოა განხორციელდეს ფინანსთა სამინისტროსთან და ეროვნულ ბანკთან კოორდინაციით.
- 10.12. რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს და ეროვნულ ბანკს შერჩეული სახაზინო ობლიგაციების მეორად ბაზრის ვაჭრობების შესახებ, დანართ 3-ში განსაზღვრული ანგარიშის სახით. ფინანსთა სამინისტროს ან/და ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში იყოს თანახმა გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია აგრეგირებული სახით, კლიენტების დასახელების მითითების გარეშე, ფინანსთა სამინისტრო მიერ განსაზღვრული ფორმით.
- 10.13. განახორციელოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზი და პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე ან/და ორმხრივ შეხვედრებზე, ფინანსთა სამინისტროს და ეროვნულ ბანკს მიაწოდოს მოპოვებული ინფორმაცია, ასევე, რეკომენდაციები ბაზრის ლიკვიდურობისა და მომავალი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
- 10.14. მონაწილეობა მიიღოს პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის, ასევე, ფინანსთა სამინისტროსთან ან ეროვნულ ბანკთან ორმხრივ შეხვედრებში.
- 10.15. შერჩეული და არააქტიური შერჩეული ბენჩამარკ ობლიგაციების პორტფელის მინიმუმ 50% და 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების პორტფელის 100% კლასიფიცირებული ჰქონდეს როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი („available for sale”); გარდა ამისა, კლიენტების მხრიდან სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებზე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ამავე სტატუსით ფლობდეს საკმარისი რაოდენობის შესაბამის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებს, რათა შეძლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.
- 10.16. იმ შემთხვევაში თუ 10.15 მუხლში განსაზღვრული მოცულობა ბაზრისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა, ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა განსაზღვრონ/შეცვალონ შერჩეული და არააქტიური შერჩეული ბენჩამარკ ობლიგაციების და სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მინიმალური წილები, რაც პირველად დილერს კლასიფიცირებული უნდა ჰქონდეს როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი („available for sale”).
- 10.17. უზრუნველყოს, რომ პირველადი დილერის სახელით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ ფუნქციებში ჩართული პერსონალის საქმიანობა დამოუკიდებელი იყოს კლიენტებთან ურთიერთობების მქონე პერსონალისაგან და არ ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა.
- 10.18. მუდმივად იყოს მოქმედ კანონებთან, საზედამხედველო მოთხოვნებთან, წესებთან, ბრძანებებთან და წესდებებთან შესაბამისობაში. შემუშავებული ჰქონდეს პროცედურები, რომლებიც მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან საკუთარი და კლიენტის სახელით განხორციელებულ ოპერაციებს.
- 10.19. მუდმივად აკმაყოფილებდეს 5.1 მუხლში განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

10.20.ფინანსთა სამინისტროს ან/და ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მზად იყოს აუდიტისა და შემოწმებისათვის.

11. პირველადი დილერების პრივილეგიები

პირველად დილერებს აქვთ შემდეგი პრივილეგიები:

- 11.1. გამოიყენონ „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველადი დილერის“ სტატუსი;
- 11.2. ექსკლუზიურად მხოლოდ მათ მიიღონ მონაწილეობა:
 - 11.2.1. შერჩეული სახაზინო ობლიგაციების პირველად ბაზარზე, სადაც პირველად დილერს შეუძლია განაცხადი გააკეთოს საკუთარი და/ან კლიენტის სახელით;
 - 11.2.2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ოპერაციებში;
 - 11.2.3. ეროვნული ბანკის ღია ბაზრის ოპერაციებში.
- 11.3. ფინანსთა სამინისტრომ და/ან ეროვნული ბანკმა პირველად დილერებს შესაძლოა შესთავაზონ დამატებით სხვა ოპერაციებში ექსკლუზიური მონაწილეობის პრივილეგია.
- 11.4. პირველად დილერებს, რომლებსაც დაუკმაყოფილდათ კონკურენტული განაცხადი შერჩეული სახაზინო ობლიგაციების გამოშვების აუქციონზე, აქვთ უფლება გამოცხადებულ ემისიაზე დამატებით, საკუთარი სახელით, წარადგინონ 1 არაკონკურენტული განაცხადი მაქსიმუმ დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადის (განაცხადების) 10% -ისა.
- 11.5. პირველად დილერებს შეუძლიათ 11.4 მუხლის შესაბამისად არაკონკურენტული განაცხადი გააკეთონ აუქციონის დასრულებიდან მეორე სამუშაო დღის 13:00 საათამდე.

12. პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფი

- 12.1. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი და პირველადი დილერები აყალიბებენ სამუშაო ჯგუფს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების, პრობლემების გადაჭრის და ინფორმაციის გაზიარების მიზნით. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობას გაუწევს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი (შემდგომში თავმჯდომარე).
- 12.2. ურთიერთგაგების მემორანდუმის მონაწილე ყველა მხარეს უნდა ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფში. მუდმივი წევრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე არყოფნის შემთხვევაში, მხარეს შესაძლოა წარმოადგენდეს სპეციალურად უფლებამოსილი ალტერნატიული წევრი.
- 12.3. თავმჯდომარის ინიციატივით სამუშაო ჯგუფის შეკრება მოხდება თვეში ერთხელ. არაგეგმიური შეხვედრა კონკრეტული საკითხის განხილვის მიზნით შეიძლება ჩატარდეს მინიმუმ წევრთა რაოდენობის ნახევრის გადაწყვეტილებით.

13. ყოველდღიური ფიქსირება

- 13.1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდისთვის ეროვნული ბანკი წარმართავს შერჩეული და არააქტიური შერჩეული სახაზინო ობლიგაციის ყოველდღიური ფიქსირების პროცედურას.
- 13.2. ბენჩმარკის ფიქსირება გულისხმობს, დღიური სავაჭრო სესიის ნებისმიერ დროს, პირველადი დილერების მიერ გამოქვეყნებული ყიდვა-გაყიდვის ფასების შესახებ ინფორმაციის მიღებას და ინდივიდუალური საშუალო შემოსავლიანობების საფუძველზე საშუალო შემოსავლიანობის გაანგარიშებას. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ღონისძიებები მოცემულია დანართ 2-ში.
- 13.3. ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო თავიანთ ვებ-გვერდზე სამუშაო დღის ბოლოსთვის გამოაქვეყნებენ ბენჩმარკის გაანგარიშებულ დღიურ საშუალო შემოსავლიანობას, ინდივიდუალურ ყიდვა-გაყიდვის ფასებთან ერთად, პირველადი დილერების დასახელების გარეშე.
- 13.4. დროთა განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა ბენჩმარკის გაანგარიშებული დღიური საშუალო შემოსავლიანობა გამოიყენოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდის გამოსაქვეყნებლად ხელმისაწვდომი ყიდვა-გაყიდვის ფასის ინტერპოლაციის მეთოდით.

14. ინფორმაციის გაზიარება და ანგარიშება

- 14.1. პირველადი დილერები იღებენ პასუხისმგებლობას წარადგინონ ანგარიშები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე განხორციელებულ ყოველ პირდაპირ, რეპო და უკუ-რეპო ტრანზაქციაზე. წარსადგენი ანგარიშები მოცემულია დანართ 3-ში.
- 14.2. ანგარიშები წარდგენილ უნდა იქნას ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით.
- 14.3. ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში პირველადმა დილერებმა უნდა წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია.

15. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

- 15.1. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.
- 15.2. ახალი მოვალეობებისა და პრივილეგიების დამატება ან არსებულის ცვლილება შესაძლებელია პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის შეთანხმებით.
- 15.3. მე-10 მუხლში განსაზღვრული, მეორად ბაზარზე ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების ცვლილება შესაძლებელია პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით. მსგავსი ცვლილებები მოითხოვს პირველადი დილერების ორი-მესამედის, ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის მიერ დადასტურებას და ასეთი შეთავაზება ცვლილებაზე წარმოდგენილ უნდა იყოს პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განსახილველ საკითხთა ნუსხაში. პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი, რომლითაც დამტკიცდა ცვლილება, თან უნდა დაერთოს მემორანდუმს.

- 15.4. დროდადრო, ფინანსთა სამინისტრომ შესაძლოა შეცვალოს პირველადი დილერების შერჩევის კრიტერიუმები. აღნიშნული ცვლილების შესახებ პირველად დილერებს ეცნობებათ ცვლილებამდე სულ მცირე 3 თვით ადრე.
- 15.5. შერჩევის კრიტერიუმები უცვლელი იქნება მემორანდუმის ძალაში შესვლიდან პირველი 6 თვის განმავლობაში.
- 15.6. დანართ 3-ში მოცემული ანგარიშების და მათი შინაარსობრივი მხარის ცვლილება შესაძლოა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ, რის შესახებაც პირველად დილერებს ეცნობებათ წინასწარ საკმარისი დროით ადრე.
- 15.7. ფინანსთა სამინისტროს შეუძლია მემორანდუმის შეწყვეტა ნებისმიერ დროს.

16. დამატებითი შენიშვნები

- 16.1. ერთი მხარის მიერ მეორე მხარისაგან მიღებული ყველა სახის ინფორმაცია კონფიდენციალურია თუ მემორანდუმით, მხარეთა შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობით, რეგულაციით, სასამართლოს ან შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 16.2. თითოეულ ფინანსურ ინსტიტუტთან გაფორმებულ მემორანდუმს ხელი ეწერება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთ-ერთი ხელმოწერილი ეგზემპლარი, მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ყველა ცვლილებასთან ერთად ინახება ფინანსთა სამინისტროს მიერ, რომელიც ვალდებულია მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს დამოწმებული ასლის მათთვის მიწოდება; მეორე ხელმოწერილი ეგზემპლარი შესაძლოა გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს, ხოლო მესამე - ხელმომწერ ფინანსურ ინსტიტუტს.

ფინანსთა სამინისტრო

ეროვნული ბანკი

ლაშა ხუციშვილი
ფინანსთა მინისტრი

ნათია თურნავა
ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ფინანსური ინსტიტუტის სახელი

ხელმოწერი პირის სახელი/გვარი

თანამდებობა

ბეჭედი

დანართი 1. პირველად დილერად დანიშვნის განაცხადი



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის N16

0105, თბილისი

განაცხადი პირველადი დილერის სტატუსის მინიჭებაზე

ფინანსური ინსტიტუტის სახელი:

მისამართი:

საიდენტიფიკაციო ნომერი:

განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი:

თანამდებობა:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

განაცხადის თარიღი

ხელმოწერა

დანართი 2. ბენჩმარკის ფიქსირების ტექნიკური საკითხები

- (i) ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ, პირველადმა დილერმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეროვნულ ბანკს;
- (ii) მოთხოვნის შემთხვევაში, პირველადმა დილერმა ელექტრონული ფოსტის მითითებულ მისამართზე ეროვნულ ბანკს (Monetary.Operations@nbg.gov.ge) და ფინანსთა სამინისტროს (FO@mof.ge) უნდა გაუგზავნოს ყიდვა-გაყიდვის ფასები ყოველდღიური საშუალო შემოსავლიანობის განსაზღვრის მიზნით.
- (iii) პირველადი დილერისათვის გამოქვეყნებული ყიდვა-გაყიდვის ფასები შემზღუდველია ყოველდღიური საშუალო შემოსავლიანობის განსაზღვრის პერიოდში.
- (iv) აღნიშნული ყიდვა-გაყიდვის ფასები გათვალისწინებულ უნდა იქნას ბენჩმარკ ყიდვა-გაყიდვის ფასების გაანგარიშებისას;
- (v) მნიშვნელოვანი ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, პირველადმა დილერმა ყიდვა-გაყიდვის ფასები უნდა გაუგზავნოს ეროვნულ ბანკს ელექტრონული ფოსტის საშუალებით და ეროვნულმა ბანკმა მიღებული ინფორმაციის და ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული ფასების საფუძველზე მოახდინოს ბენჩმარკის შემოსავლიანობის განსაზღვრა.
- (vi) ხშირი ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფი ერთობლივად განიხილავს და გადახედავს ბენჩმარკის ფიქსირების პროცესს.

დანართი 3. წარსადგენი ანგარიშები¹

ყოველკვირეული ანგარიში ტრანზაქციების შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას ტრანზაქციებზე: ვაჭრობის თარიღი, ანგარიშსწორების თარიღი, აღსრულების თარიღი, კლიენტის ჯგუფი (ინდივიდუალური, ბანკი, კორპორაცია, სხვა საკრედიტო ინსტიტუტი, სხვა ფინანსური ინსტიტუტი), პირველადი დილერის სტატუსის ფლობა/არ ფლობის მითითებით, რეზიდენტი/არარეზიდენტი, კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი, ISIN, მყიდველი/გამყიდველი, კონტრაქტის ტრანზაქციის საიდენტიფიკაციო კოდი, ნომინალური ღირებულება, დენომინაციის ვალუტა, საანგარიშსწორებო თანხა, საანგარიშსწორებო ვალუტა, ფასი (clean), საპროცენტო განაკვეთი, სტატუსი;

ყოველკვირეული ანგარიში კლიენტების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას პირველადი დილერების კლიენტების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე: კლიენტის ჯგუფი (ინდივიდუალური, ბანკი, კორპორაცია, სხვა საკრედიტო ინსტიტუტი, სხვა ფინანსური ინსტიტუტი), პირველადი დილერის სტატუსის ფლობა/არ ფლობის მითითებით, რეზიდენტი/არარეზიდენტი, კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი, ISIN, ნომინალური ღირებულება (რა მოცულობას ფლობენ ინვესტორები ISIN-ების მიხედვით);

ყოველკვირეული ანგარიში პირველადი დილერის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ მოიცავს ინფორმაციას პირველადი დილერის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშების შესახებ, ნომინალური ღირებულებები მითითებული უნდა იყოს თითოეული ISIN-ზე;

ყოველკვირეული ანგარიში რეპო ტრანზაქციების შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას რეპო ტრანზაქციებზე: ვაჭრობის თარიღი, ანგარიშსწორების თარიღი, აღსრულების თარიღი, დაფარვის თარიღი, ვადიანობა, ISIN, ნომინალური ღირებულება, რეპოს თანხა (First Leg), ვალუტა, საპროცენტო განაკვეთი, კლიენტის ჯგუფი (ინდივიდუალური, ბანკი, კორპორაცია, სხვა საკრედიტო ინსტიტუტი, სხვა ფინანსური ინსტიტუტი), პირველადი დილერის სტატუსის ფლობა/არ ფლობის მითითებით, რეზიდენტი/არარეზიდენტი, კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი, მყიდველი/გამყიდველი, კონტრაქტის რეპო ტრანზაქციის საიდენტიფიკაციო კოდი, სტატუსი, იმის მიხედვით რეპო ტრანზაქცია განხორციელდა პირველადი დილერის თუ კლიენტის მიზნებიდან გამომდინარე.

¹ პირველადმა დილერმა ანგარიშები უნდა გაუგზავნოს ელექტრონული ფოსტის მითითებულ მისამართზე ფინანსთა სამინისტროს (FO@mof.ge) და ეროვნულ ბანკს (Monetary.Operations@nbg.gov.ge).